

**დროის გარემოებითი დამოკიდებული  
წინადადების შემცველი  
ჰიპოტაქსური კონსტრუქციები სვანურში<sup>1</sup>**  
**CLAUSES OF TIME HIPOTAXIC  
CONSTRUCTION IN SVAN**

**ნატო შავრეშიანი**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, საქართველო

**Nato Shavreshiani**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Tbilisi, Georgia

**ABSTRACT**

The paper presents the hypotactic constructions occurring in Svan, where a subordinate clause is the temporal adverbial one, explaining the function of a temporal modifier expressed by an adverb in the principal clause. There are as many kinds of adverbial clauses as adverbial modifiers themselves, thus, the following ones are attested: adverbial subordinate clauses of place, time, manner, reason, and purpose. The same hypotactic constructions are identified in all four dialects of Svan and the patois of Choluri, which are interesting due to the abundance of indicator words, relative adverbs, and conjunctions with phonetic variants.

There is no comprehensive research on this issue in academic literature, where the data of all four dialects (Upper Bal, Lower Bal, Lentekhian, Lashkhian) would have been considered. Our research presents samples of Choluri speech as well, which allows rather interesting conclusions to be drawn. Research has shown that among the adverbial clauses in Svan, adverbial clauses of time are the most frequently attested ones and no significant difference is observed between the dialects, except for the presence or absence of certain linking means.

In terms of the use of subordinating conjunctions in adverbial clauses of time, Svan dialects contradict each other: as it turned out, cases of using indicator words to connect components of hypotactic constructions prevail in Lower Bal, while subordinating conjunctions are always missing (though implied) in a subordinate clause, unlike relative words, which are always present in all dialects.

The subordinating conjunction lakhe (“that”) mostly occurs in the Upper Bal dialect, although it may not accompany a subordinate clause. A subordinating conjunction is mostly represented in Lentekhian and Lashkhian, while in Choluri speech the subordinating conjunction ere (“that”) is clearly prevalent in the use of relative words. The data of Lower Svan is also interesting because en (Lentekhian) /

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა 2019 წელს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების პროექტის („პარატაქსულ-ჰიპოტაქსური კონსტრუქციები სვანურში YS-19-435“) ფარგლებში

ī (Choluri) “that” forms that are equivalent to the er “that” subordinating conjunction are found in Lentekhian and Choluri speech. The en variant often occurs along with its parallel forms in Lentekhian, while the ī variant has been attested in the Sakdari speech (Choluri gorge) bordering the Lentekhian dialect.

The paper also examines such hypotactic constructions where it is difficult to draw a distinct boundary between compound coordinated and complex sentences, however, it is possible to distinguish them based on the material found in the Choluri speech.

**საკვანძო სიტყვები:** სვანური დიალექტები, სინტაქსი, რთული წინადადება, **Keywords:** Svan dialects, syntax, complex sentence.

დროის გარემოებითა დამოკიდებული წინადადება, რომელიც აზუსტებს, ხსნის მთავარ წინადადებაში ზმნიზედით გამოხატულ თუ ნავარაუდევ დროის გარემოების როლს.

სვანურში გარემოებით დამოკიდებულაწ წინადადებებში ყველაზე მეტი რაოდენობა სწორედ დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებზე მოდის, ყველა დიალექტში უხვად დასტურდება, მათ შორის ჩოლურულ მეტყველებაშიც.

ამ სახის რთული ქვეწყობილის მთავარ წინადადებებში მისათითებელ სიტყვებად დასტურდება შემდეგი დროის ზმნიზედები (გარემოებები): **ათხე** „ახლა“, **ერქა / ერქას** „მაშინ“, **ერქად / ეშქად / ექად** „მანამ“, **ერანლო / ერქანლო / ექანლტე** „მერე, შემდეგ“, **შიშტ / შიშდ** „მაშინვე, მყის“...

დე ლათხუთართე მოშერ ღერი **ათხე**, ჟოდ ალ წუთირჟი მეყურე ზურანლო ენაწლი (ლშხ.) „ვერც სანადიროდ ვერ წავა ვინმე ახლა, სანამ ამ ჭუჭყზე მწოლიარე ქალი არ გაიწმინდება“.

შომჟჷდ მეზგაისგა ჟინღარ... იყუროჟოლდახ, **ერქანდ** მანდ შიდდა საციქტი ლიჭტი (ბზ., ქრესტომათია 1978: 30) „როდესაც ოჯახში ბატკნები დაიკოდებოდა, მაშინაც არ შეიძლებოდა საციქველის მიცემა“.

ჟრდოდო ეჯი ბულტირდ დო ედგენდლ ე კუეცენ, **ერქად** სერ ხასპენანდლ ალეს ლერსგუანთე (ჩოლ.) „სანამ ის მტვრად არ იქცეოდა, აი, ხორბალი, მანამდე მოკლედ ატრიალებდი ამას მარჯვნისაკენ“.

ხოჩამდ ქოჟყუფედ, **ექანლტე** დანაშუ ქა ხუახკენედ ი ტაბაგჟი ხუანდისგდ (ბქ., ქრესტომათია 1978: 206) „კარგად გამოვადრობთ, შემდეგ დანით გადავფხვკთ და ტაბაკზე ვდებთ“.

ბეფშუს ხემოლ არა ზა ლახერა, **შიშტ** მგლდადლ ალშანის (ლნტ., იქვე: 304) „ბავშვს როგორც კი რვა წელი შეუსრულდება, მყის მწყემსად ნიშნავენ“.

მოცემულ ილუსტრაციებში მთავარი წინადადების კორელატები წარმოდგენილია, თუმცა ხშირად შეიძლება აკლდეს. ასეთ შემთხვევაში მათი აღდგენა კონტექსტის მეშვეობით შესაძლებელია:

აღღარ ჰანლ ქა ხეწანდხ, **[ერქას]** სგა ახტუილხ (ბზ., ქრესტომათია 1978: 162) „მათ („ესენი“) როგორც კი დაინახეს, [მაშინ] დაუმახეს“.

ქორაშ ლიგემს შომა ქა ილიესგხ, **[ექას]** ყერბიმ ლაშდბუნას ხეგნის (ბქ., იქვე: 199) „[მაშინ] სახლის აგებას როცა დაამთავრებენ, ყვერბის გაკეთებას იწყებენ“.

შომას ადვად ჭყინტმოყ, ლახათხეკ [ენქა] ყია ჩუქანქა ღალე (ლნტ., იქვე: 330) „როცა მივიდა ბიჭთან, მოუსვა [მაშინ] ყელს ქვევით ფრთა“.

ერ ოხლტან დ-ნას ლეზობ, ნაფტარს დატა ეფუტთე ეთქამ [ენქა] (ლშხ., ტექსტები 1979: 89) „რომ მოჰქონდა გოგოს საჭმელი, ნაფოტებს დევის ეზოში შეჰყვა [მაშინ]“.

სასადილოთ'ერ სგა ღგრდახ, მნკუტი ჩოლირს ამზერდახ [ენქა] (ჩოლ.) „სასადილოში რომ შედიოდნენ, პირველად ჩოლურს ლოცავდნენ [მაშინ]“.

განსახილველ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში კომპონენტთა (დამოკიდებულისა და მთავარი წინადადების) ერთმანეთთან დასაკავშირებლად სვანურში გამოყენებულია მაქვემდებარებელი კავშირები და მიმართებითი სიტყვები: **ერ** (სვ.) / **ენ** (ლნტ.) / **ი** (ჩოლ.) „რომ“; **ლახ** / **ლახე** (ზზ., ჩოლ.) / **ლახა** (ბქ.) / **ალახ** (ლშხ., ჩოლ.) „რომ“; **ჰნლ** (ზზ.) / **ხნლ** (ლშხ., ჩოლ.) „როგორც კი, როდესაც“; **ხამტა** / **ჰამტა** (ზზ.) / **ხემოლ** / **ხემოლტა** (ლნტ.) / **ხემნა** (ლშხ.) „როგორც კი“; **ხნომ** (ჩოლ.) „რაც, როგორც“; **შომნა** / **შომას** < (ლშხ., ჩოლ.) **შომნა** (ბქ., ლნტ.) **შომნ** (ბქ.) / **შომნას** (ლნტ.) / **შომტა** (ზსვ) „როცა, როდესაც“; **ტოდ** (ქსვ.) / **ტოდემჩიქა** (ზზ.) **ტოდემჩიქად** / **ტოდემჩიქას** / **ტოდედო** (ლნტ.) **ტოდდ** (ქსვ.) / **ოდ** (ლშხ., ჩოლ.) „სანამ“...

ზარას **ერ** აღმგმნა, ექა უსგტუმტ მარე ხელათ ხეკტერ ალხურიელან (ჩოლ.) „ზარს რომ დაუკრავდა, მაშინ სამოცი კაცი უცებ უნდა მოგროვილიყო“.

**ლახ** მრდ ლანსიმნე ნქტ სემმდარდ, ქაფიშტდხ მერმა ლადელ ლალდალთე (ზზ., ტექსტები 1939: 307) „რომ არ შეისმინა ნათქვამი სემმდარმა, გაუმვეს მეორე დღეს სამწყემსავად“.

**ხემოლ** სგადვად ალ ღარიბ მაროლ, შიშტ ლახეჭუედდახ (ლნტ., ქრესტომათია 1978: 322) „როგორც კი შევიდა ეს ღარიბი კაცი, მყის ჰკითხეს“.

**ხემნა** სგ'ოხგუდურდა ზურაბ როსტომს, შიშდ ჟი ხაჯიდ (ლშხ., ტექსტები 1979: 119) „როგორც კი მოჰკიდა ზურაბმა როსტომს, მყის დააგლო მირს“.

**შომნა** ხნლხ ფიშირ ინზორი, ექას ხეგნიხ ლავტანას (ბქ., ქრესტომათია 1978: 182) „როცა ბევრი ხალხი გროვდება, მაშინ გაუდგებიან სატირალს“.

**ტოდემჩიქა** სგა ხეგტდირნი, ექად ხამგერ ტიშდ ჩირიხანს (ზზ., იქვე: 161) „სანამ ხელს მოკიდებს, მანამ კრა წიხლი ჩირიხას“.

მაქვემდებარებელ კავშირთაგან ლენტეხურსა და ჩოლურულში დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებში ჩვენი ყურადღება მიიქცია **ერ** „რომ“ კავშირის ეკვივალენტმა **ენ** (ლნტ.) / **ი** (ჩოლ.) „რომ“ ფორმებმა. უნდა აღინიშნოს, რომ **ენ** ვარიანტი ლენტეხურ დიალექტში ხშირად პარალელურ ფორმებთან ერთადაა წარმოდგენილი, ხოლო **ი** ლენტეხური დიალექტის მოსაზღვრე საყდრულ მეტყველებაში დადასტურდა:

**ე** (||**ერ** || **ენ**) აჩად ღერბეთ, ლერწ ლან ლელუმრად ადსიპან (ლნტ., ტექსტები 1967: 265) „რომ წავიდა ღმერთი, ვაზიც კი ნამენარად გადაიქცა“.

**ჟენ** (||**ჟერ** || **ჟენ**) ჯედენი, ეჩანლო ჩ'ტაბზრჯეხ (ლნტ., ქრესტომათია 1978: 300) „რომ ამოდის, მერე თოხნიან“.

მიჩა ბოჭოჭოლან ლვკად ენ ლოქ ამეჩედ, ექა გოლდამაპ ლოქ ახაქემა (ლნტ., ტექსტები 1967: 263) „მისი ყვავილის მოსაწყვეტად რომ წასულაო, მაშინ გველეშაპი გამოჰკიდებიაო“.

ერქა ბრძოლს ეჯდარ მოსწაუღლენ, **ბ** აგნათუახ კლასს (ჩოლ., საყდრ.) „მაშინ იქნებოდნენ ისინი მოსწავლეები, რომ ამთავრებდნენ სკოლას“.

**ნებოზს ლეფანად ბ** ხაკუბ ჭნტი, ერქა სგობნე ლეთ ხაგემს ლაჯაბდ (ჩოლ., საყდრ.) „სალამოს წასადგმელად რომ უნდათ კორკოტი, მაშინ წინა სალამოს ადგამენ მოსახარშად“.

დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებში მაქვემდებარებელ კავშირთა გამოყენების თვალსაზრისით სვანურის დიალექტები აშკარად უპირისპირდებიან ერთმანეთს: ბალსქვემოურში საკავშირებელ საშუალებად მიმართებითი სიტყვების გამოყენების შემთხვევები ჭარბობს, ხოლო მაქვემდებარებელი კავშირები დამოკიდებულ წინადადებაში ყოველთვის აკლია (როგორც მოსალოდნელი იყო), თუმცა ივარაუდება, განსხვავებით მიმართებითი სიტყვებისაგან, რომლებიც ყოველთვის წარმოდგენილია ყველა დიალექტში. ბალსზემოურდიალექტში ძირითადად გვხვდება **ლახე** (რომ კავშირის მნიშვნელობით) მაქვემდებარებელი კავშირი, თუმცა შეიძლება არ ახლდეს დამოკიდებულს. ქვემო სვანურ დიალექტებში მაქვემდებარებელი კავშირი უმეტესწილად წარმოდგენილია, ხოლო ჩოლურულში აშკარად **ერე** „რომ“ მაქვემდებარებელ კავშირთან დამოკიდებული ჭარბობს მიმართებითი სიტყვების გამოყენების შემთხვევებს:

ლიფანალიუნლო სემი-ჭომთხუ ლადედ ქა ღერი, ეჩქას ხატულის ნალტეხულს (ბქ., ტექსტები 1957: 6) „საკურთხის წადგმის შემდეგ სამიოთხი დღე გადის, მაშინ ეუბნებიან დაბრუნებას“.

**ლახე** დდმის კიდე პილს ჰაუდარ, ერქას ქა ითმიხ აშხუ მწრა დწრა მგჰაუდრად (ბზ., ქრესტომათია 1978: 32) „რომ არ გამოიდარებს ავდარი, მაშინ ირჩევენ ერთ კაცს დარის შესაწყვეტად („გასაავდრებლად“)“.

**ერ** ამეკედ აგხო, ლახუბა ჭომთხუედა აგის ასახუიახ (ლნტ., ტექსტები 1967: 94) „რომ მოსულა სახლში, ძმები ოთხივე სახლში დახვედრიან“.

**ერ** ხაკუდა ერა ლიკდე, ერქა ოხბინა დწუა ჩაჟს ლიჭიხტინი (ლზხ., ტექსტები 1979: 107) „რომ სდომებია იმისი მოტანა, მაშინ დაუწყია დევის ცხენს ჭიხვინი“.

ლიცარს **ერ** ასყედახ ამენ სგობდ, დეშტრშომთხუ მწრე მეყადა (ჩოლ.) „წყლებს რომ აკეთებდნენ ამას წინათ, თოთხმეტი კაცი მყავდა“.

განსახილველ რთულ ქვეწყობილ წინადადებებში ლაშხურსა და ლენტეხურს ისიც გამოარჩევს სხვა დიალექტთაგან, რომ დამოკიდებულში, ძალიან ხშირად, ერთდროულად გვხვდება მიმართებითი ზმნიხედები და მაქვემდებარებელი კავშირი **ერე / ერ** „რომ“, რაც ბალსქვემოურსა და ჩოლურულში ვერ დავადასტურეთ, ხოლო ბალსზემოურში შედარებით იშვიათია. აღნიშნული საკავშირებელი საშუალებები, ძირითადად, წინა პოზიციის დამოკიდებული წინადადების თავშია მოქცეული და ცხადია, რომ კავშირის ფუნქციას ამ შემთხვევაში მთლიანად მიმართებითი სიტყვა ითავსებს, რადგან ამ პოზიციაზე მაქვემდებარებელი კავშირის დართვის გარეშე გვხვდება, ხოლო მისი ჩამოშორებით მაქვემდებარებელი კავშირი ამ კონსტრუქციებში თანმხლები წევრების გათვალისწინებით მისთვის არაბუნებრივ პოზიციაზე აღმოჩნდება:

**შომის ერე** ალ ჭიშკარი ფედიახო იფედურიელს, ერქა ამნემ ჯორხენქა ჩ'უანასკინე (ლნტ., ქრესტომათია 1978: 337) „როდესაც რომ ამ ჭიშკრის ახლოს უახლოვდება, მაშინ მან ჯორიდან ისკუპა“.

**შომი ერე** დამან ჩ'უედმეჩანდა, ერქა აემდემერუ ლუთხუმ დანვ ახწინდა (ლმხ., ტექსტები 1979: 124) „როდესაც რომ იამანი დაბერდა, მაშინ თორმეტთავიანი დევი მოერია“.

ეჯ ტაბელს მინწრს დოსკ ჩუ იზბის, **ჟოდ ერე** ხალხი ლილაკალ (ლნტ., ქრესტომათია 1978: 292) „იმ კვერს დილას ადრე შეჭამს, სანამ რომ ხალხის წასწრებამდე“.

თოთ ბობშარს **ლახ** ჯადარ ესა ხეზგუნის, ერქა ბატი ნანდუელს ხათრეს (ლმხ., ტექსტები 1979: 30) „ჩვილ ბავშვებს როცა მუცელი თუ სტკივდებათ, მაშინ ბატის ნაღველს ასმევენ“.

**შომჟი** როქ **ერე** ზანდ ქანდგერას, ერქას როქ მიჩა ჯოგ მანგ ჩუტ ათბე (ბზ., ტექსტები 1939: 223) „როდესაც რომ წელიწადი გალიო, მაშინ შენი ჯოგი სულ დააბიო“.

როგორც ცნობილია, ორმაგკავშირიანი დამოკიდებული „...სხვა ქართველურ ენებშიც გვხვდება (შდრ: ქართული „როგორც რომ“, მეგრული „მუჭოთენი“). მაგრამ სვანურში უფრო მეტად არის გავრცელებული... მაქვემდებარებელი კავშირის დართვა უფრო ანალოგიით აიხსნება“... (აბესაძე 1960: 128).

რაც შეეხება საკავშირებელი საშუალებების განაწილებას დამოკიდებულ წინადადებაში, შეიძლება შეგვხვდეს სამივე პოზიციის დამოკიდებულში, როგორც თავში, ისე შუაში:

**შომი** ესერ ლესგქა ლახმდორენა, ერქას ესერ გუდ ომჯედელი (ბქ., ტექსტები 1957: 37) „როცა გვერდზე შემოხვევიაო, მაშინ მიმხვდარაო“.

ციგინს ნმზუდახ, აჟ, ლიფანალი **ერ** იზნოლ, ერქა ხომალ (ჩოლ.) „ზლაპარს ყვებოდნენ აი, საკურთხის წადგმა რომ იწყებოდა, მაშინ უფროსები“.

ლაზნაჟი ქა **ჰალ** ათუე გეზალს, ერქა შიმდ თხერალ ხოდემგის გეზალს (ბზ., ქრესტომათია 1978: 160) „მშობიარობისას როგორც კი აჩენს შვილს, მაშინ უცებ მგლები ართმევენ შვილს“ .

დემ ლოქ ხატხე პატრონს, **ჟოდ** თიკანს ლოქ დრმ ოთკუტუნენხ ლიცთე (ლმხ., იქვე: 241) „არ უბრუნებსო პატრონს, სანამ თიკანს არ ჩაუგდებენო წყალში“.

აღნიშნულ ჰიპოტაქსურ წინადადებებში დამოკიდებული გვხვდება სამივე პოზიციის, თუმცა აშკარად ჭარბობს წინა პოზიციის დამოკიდებული ყველა დიალექტში. ასევე, გვხვდება შემთხვევები, როცა მთავრის შუაში მოქცეულ დამოკიდებულს ხან მთავარი წინადადების რამდენიმე წევრი მოჰყვება, ხან მხოლოდ კორელატი. შესაბამისად, გვაქვს შემდეგი პოზიციები: დამოკიდებული + მთავარი; მთავარი + დამოკიდებული; მთავარი + დამოკიდებული + მთავარი; მთავარი + დამოკიდებული + კორელატი.

**ალა ჰალ ქა რქქუ**, კეცდ ესფიქე დონას (ბზ., ქრესტომათია 1978: 158) „ეს როგორც კი თქვა, მხეცმა დაავლო გოგოს“.

ალი ამქეჟიმ, **ჟოდ დო ტაბანგ მესგურე ქა დანდხერსი მანგ** (ბქ., იქვე: 177) „ეს ასე მიყვება, სანამ ტაბაკთან მჯდომთა რიგი არ იქნება“.

ლემრაშას, ოდ ჭირისუფალ დრმ ენხურდელრლ, ეჩქად დემ იზბგდახ (ჩოლ.) „სახსნილოს, სანამ ჭირისუფალი არ მოგროვდებოდა, მანამ არ ჭამდნენ“.

ალე მიჩა მგზნანი ლოქ ლი, მინ ლოქ ერ დესა ჳრიხ, ეჩქა (ლნტ., ქრესტომათია 1978: 318) „ეს მისი მომვლელიაო, თვითონ როცა არ არიანო, მაშინ“.

მუყრწნტალ ჳედნიხ ლილფხუწლთე ნაღალდ, შომწა მაშუნე აუდრიანობ ლი, ეჩქა (ლშხ., ტექსტები 1979: 29) „ჩიტები მოდიან გაზაფხულისკენ უფრო, როცა ყველაზე მეტი ავდრიანობაა, მაშინ“...

როგორც ცნობილია, ამ სახის ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში დამოკიდებული წინადადებით გამოხატულ მოქმედებასა და მთავარი წინადადების შემასმენლით გადმოცემულ მოქმედებას შორის გარკვეული დროული მიმართება არსებობს. სვანურშიც, ძირითადად, დროის ორი მიმართება დასტურდება: მოქმედებათა ერთდროულობა (როდესაც მთავარსა და დამოკიდებულში გამოხატული ორივე მოქმედება ერთდროულად ხდება) და თანამიმდევრობა (როდესაც დამოკიდებულში გამოხატული მოქმედება უსწრებს მთავარში გადმოცემულ მოქმედებას, ან პირიქით):

ნინჩუწრისკა ხეკუტეს ხოფხეჳან, ეჩქა თხუტიმ ქასოქდ (ლნტ., ტექსტები 1967: 84) „სახეში უნდა ეტაცა, მაშინ თავი გავწიე“.

ეჯას ხეწუბწლ მელუწჳალ, ლახე თემი ხოჯდენი (ბზ., ქრესტომათია 1978: 38) „იმას ეკონწიალება მშობიარე, რომ უჭირს“.

ხწლ სგა ღვრდახ დაბთჳესა, შიშდ მუსი მურყუამს ხეგვრწლხ (ლშხ., იქვე: 239) „როგორც კი შედიოდნენ ყანაში, უცებ თოვლის კოშკს ეძგერებოდნენ“.

რევოლუცია ერ ემბინწან, ეჩქა ამხაუ გელოუწან ერე ემწედელი სგა (ჩოლ.) „რევოლუცია რომ დაიწყო, მაშინ აქ გელოვანი შემოსულა ვიღაცა“.

კომპონენტთა შორის დროის მიმართების თვალსაზრისით რომ საკავშირებელ საშუალებებს გარკვეული როლი ეკისრებათ, ამას უოდ / ოდე / უოდდო / უოდემჩიქქა „სანამ“ მიმართებითი ზმნიზედის პარალელური ვარიანტებიც ნათლად გვიჩვენებს. მისი გამოყენების დროს განირჩევა შემდეგი შემთხვევები: მთავარ წინადადებაში ასახული მოქმედება დამოკიდებულის შემასმენლით გამოხატულ მოქმედებაზე ადრე სრულდება; მთავარში გადმოცემული მოქმედება სრულდება დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენლით გამოხატული მოქმედების შესრულების შემდეგ და მთავარში გამოხატული მოქმედება შესრულდა იმ დროს, სანამ მიმდინარეობდა დამოკიდებულ წინადადებაში გადმოცემული მოქმედება:

ამჳინ აკლაუტხ, ოდე ლიშდბენწ დო ჳედნი (ბზ., ქრესტომათია 1978: 118) „ასე ლეწავენ, სანამ არ გაილეწება“.

უოდდედე ჟწანთხენეხ, ეჩქად ქორთე მეტეხ დემეგ ლასუბ (ბქ., ქრესტომათია 1978: 221) „სანამ არ მოძებნიან, მანამ სახლში მომსვლელები არ იყვნენ“.

**ტოლიძე** დაუთოს კინჩხს ჟი ხაჭუცა, ეჩქად დაუთოდ ქა ლახუნთურე მიჩა თხუიმ (ბზ., ტექსტები 1939: 271) „სანამ დავითს კისერს სჭრიდა, მანამ დავითმა გაუმხილა თავისი თავი“.

ჩვენი ყურადღება მიიქცია ზემოსვანურ დიალექტებსა და ჩოლოურულში ერთი შეხედვით ჰიპოტაქსურმა კონსტრუქციებმა, რომელთა კომპონენტებსაც დროის თვალსაზრისით ერთმანეთის მიმართ გარკვეული მიმართება (მოქმედებათა ერთდროულობა) აკავშირებთ. აღნიშნულ კონსტრუქციებში სავარაუდოდ დამოკიდებულს კავშირი აკლია, ხოლო მთავარში ყველგან **ეჯეი** „ასე“, **ამეი** „ისე“ მიმართებითი სიტყვა ახლავს თან, რომელსაც პირვანდელი მნიშვნელობა, სავარაუდოდ, დაკარგული აქვს და მეორეული სემანტიკით **ეჩქა** „მაშინ“ დროის ზმნიზედის მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს:

ხოჩამთეჟა ქა მეგდე ლი, **ეჯეი** კესარშერდ ხამარ ჟ'ოხხუიტხ (ბქ., ტექსტები 1957: 21) „წამოზრდილია უკვე (ზედმიწ. – კარგისკენ მოსული არის), ისე (/ მაშინ) კეისრისანებმა ღორები ამოუწყვიტეს“.

ღორი საჯენ გარ ნიზიდა უშხუართე, **ეჯეი** უშხუარ ხუენადდ (ბქ., იქვე: 15) „ორი საყენი მარტო გვაშორებდა ერთმანეთს, ისე (/ მაშინ) ერთმანეთი დავინახეთ“.

სგა ლიჰეს ხუამურჯიდ, **ამეინ** სგა ლანჰელან (ბზ., ქრესტომათია 1978: 53) „შეგებებას ვაპირებდით, ისე (/ მაშინ) შემოგხვდა“.

ნამ ქ'ესტუტუნდ, **ამეინ** ნიშგუეე ჩუხინ ჟ'იდ ანპარ ლემასგუმანლ (ბზ., იქვე: 53) „ჩვენ შემოვტრიალდით, ისე (/ მაშინ) ჩვენ ქვევით კვლავ ამოვარდა ცეცხლივით“.

ლეგუიდექა ესჰომახ ფადასუმ, **ეჯეი** თაბუშერალრ ანჯადხ მუტუარუმ ქანთე (ჩოლ.) „ლევდიდან მირბოდნენ შეკრებილები, ისე (/მაშინ) თაბუშერლებიც გამოვიდნენ სანთლით გარეთ“.

კოჰრლ გუეცუარ ლეფცხიდ, **ეჯეი** ჟ'ოგუიანლნეხ ნადარრ (ჩოლ.) „ცოტა გვიკლდა მოსაფარცხი, ისე (/ მაშინ) დაგვაწიეს ნადებიც“...

აღნიშნულ კონსტრუქციებში კომპონენტთა დასაკავშირებლად თუ ჩავსვამთ ი „და“ კავშირს, მივიღებთ თანწყობილ წინადადებებს, რომელთა შორისაც ისეთივე აზრობრივი მიმართება იქნება, როგორც ქვეწყობილ წინადადებაში იყო. ერთი შეხედვით, საქმე გვაქვს ისეთ შემთხვევებთან, როდესაც რთულ თანწყობილსა და რთულ ქვეწყობილ წინადადებებს შორის მკვეთრი ზღვრის გავლება ძნელია. თუმცა ჩოლოურულში დაიძებნა ისეთი მასალა, სადაც ანალოგიურ შემთხვევებში დამოკიდებულში წარმოდგენილია ქვეწყობის გარეგანი ნიშნები – მაქვემდებარებელი კავშირი ან მიმართებითი ზმნიზედა, ხოლო მთავარში – **ეჯეი** „ისე“ კორელატი, რომელიც ადვილად შეიძლება ჩაანაცვლოს დროის ზმნიზედამ:

ქ'ერ რთრგანდ ლაბჟინათე, **ეჯეი** (**ეჩქა**) ქა ლეიტულეხ მამხენ (ჩოლ.) „რომ გავუდექით ამბის შესატყობინებლად, ისე (/ მაშინ) დაიძახეს მამიდანაც“.

ეშხუ ძინარს ლიგუნრ ერ ოხშგაბ, **ეჯეი** (**ეჩქა**) ქ'ანჯად მგრანხენ შტუგულ (ჩოლ.) „ერთ დილას ტირილი რომ წასკდა, ისე (/ მაშინ) გამოვიდა საიდანაც თავუნა“.

უოდ ალღარ ჟემტეხხ, **ეჯეი (/ეჩქად)** ჩ'ოთკილახ ეკლესიაჲ საყდარჲლს (ჩოლ.) „სანამ ესენი აბრუნებულან, ისე (/ მანამ) დაუკეტავთ ეკლესია საყდრელეზს“.

ჩოლურულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ვითარებითი ზმნიზედის შემცველ (**ეჯეი** „ისე“) ამ ქვეწყობილ კონსტრუქციებში ცალკე აღებული მთავარი წინადადება არ მიანიშნებს კონკრეტულ დროზე, არამედ დამოკიდებულის შინაარსი განსაზღვრავს მათ შორის დროის გარკვეულ მიმართებას.

როგორც განხილულმა მასალამ აჩვენა, სვანურის დიალექტებში გარემოებითდამოკიდებულებიან ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში ყველაზე მეტი რაოდენობით დროის გარემოებითი დამოკიდებული ქვეწყობილი წინადადებები დასტურდება. დიალექტებს შორის არსებითი სხვაობა არ შეინიშნება, თუ არ ჩავთვლით გარკვეული საკავშირებელი საშუალებების დართვა-დაურთველობას.

#### დამოწმებული ლიტერატურა

**აბესაძე 1960:** აბესაძე ნ., ჰიპოტაქსის წევრ-კავშირები და კავშირები სვანურში. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 93. თბილისი, 1960.

#### წყაროები

**ქრესტომათია 1978:** სვანური ენის ქრესტომათია. ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქალდანმა და ზ. ჭუმბურიძემ. თბილისი, 1978.

**ტექსტები 1939:** სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსხემოური კილო. ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ და ვ. თოფურიამ. თბილისი, 1939.

**ტექსტები 1957:** სვანური პროზაული ტექსტები, II, ბალსქვემოური კილო. ტექსტები შეკრიბეს ა. დავითიანმა, ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა. თბილისი, 1957.

**ტექსტები 1967:** სვანური პროზაული ტექსტები, III, ლენტეხური კილო. ტექსტები შეკრიბეს და რედაქცია გაუკეთეს ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა. თბილისი, 1967.

**ტექსტები 1979:** სვანური პროზაული ტექსტები, IV, ლაშხური კილო. ტექსტები შეკრიბეს არ. ონიანმა, მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა. რედაქცია გაუკეთეს მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა. თბილისი, 1979.